პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
ქ. თბილისი ____ 2022 წ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 15/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.101.016587) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა (ფუნქციური ზონები) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი/ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის ცვლილება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

წინამდებარე ცვლილების პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით წარდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე და მიეცა დადებითი შეფასება:

ა) ქალაქ თბილისში, ეგრისის ქუჩა N31თ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.008.431) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 19 ივლისის N01222003317 წერილის მიხედვით, განსახილველ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ტერიტორიაზე, რომელსაც ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

ამასთან, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ერთიანი კონფიგურაციის ჩამოყალიბებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით, მიზანშეწონილია გაუქმდეს საპროექტო მიწის ნაკვეთის დასავლეთით არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მონაკვეთი. ასევე, დაკორექტირდეს განსახილველ ტერიტორიაზე და მიმდებარედ რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.008.328, N01.72.14.008.329 და მიმდებარე ტერიტორია) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და გავრცელდეს საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებულ ფაქტობრივ გზაზე.

შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ფაქტობრივი დმგობარეობის ასახვის მიზნით ხორციელდება N01.72.14.008.328, N01.72.14.008.329 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2), საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) და სატრანსოპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1), სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 1 ივლისის N01221922101 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ეგრისის ქუჩა N31თ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.008.431; N01.72.14.008.328, N01.72.14.008.329) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2), საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

ბ) ქალაქ თბილისში, გლდანის მასივის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.13.397) მიმდებარედ მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა;

N72.13.13.397 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შემდგომში ტერიტორიის ლეგალიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2022 წლის 6 ივლისის N01221871288 წერილის შესაბამისად, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გლდანის მასივის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.13.397) მიმდებარედ ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N1; ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილის მარჯვენა მხარეს, ჯავახეთის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.011.085; N01.17.10.011.020) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სატრანსპორტო მომსახურეობის ობიექტი (ავტოსერვისის) განთავსება.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2) არის სატრანსპორტო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ მიწისზედა და მიწისქვეშა ავტოსადგომებს, ავტოგასამართ სადგურებს ან ავტოგასამართ კომპლექსებს, აირგასამართ ან აირსავსებ საკომპრესორო სადგურებს, გზატკეცილების გასხვისების ზოლებს და სადგურებს (მათ შორის აეროსადგურები, საწყლოსნო სადგურები, ავტოსადგურები, რკინიგზის სადგურები).

იმავე განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 2-ში (ტზ-2) დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების მე-15 მუხლით

განსაზღვრული ქვეზონით მოცული შენობა-ნაგებობებისა და სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველმყოფი სხვა საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობებისა კანონმდებლობის შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 6 ივლისის N0122187304 წერილის შესაბამისად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია სს ,,საქართველოს რკინიგზის" დადებითი პოზიცია (N2736; 30.06.2022) განსახილველ მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით. შესაბამისად აღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილების, კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N1; ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილის მარჯვენა მხარეს, ჯავახეთის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.011.085; N01.17.10.011.020) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.055.053) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს N01.72.14.055.053 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 6 ივლიისს N18-01221871247 წერილის შესაბამისად, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.055.053) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N15-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.02.005.022) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებულ ტერიოტორიაზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს N01.13.02.005.022 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 8 ივლისის N01221892309 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული

ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N15-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.02.005.022) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებულ ტერიოტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია;
ვ) ქალაქ თბილისში, ნ. ჩხეიძის ქუჩა N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.06.050.016) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 5-ისა (სზ-5) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 6 ივნისის N66-01221572421 წერილით მიმართა ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ და მოითხოვა ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ნ. ჩხეიძის ქუჩის №13-ში არსებულ N01.16.06.050.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონის ცვლილება, თბილისის №96-ე საბავშვო ბაგა-ბაღის ავარიული შენობის დემონტაჟისა და ამავე მიწის ნაკვეთზე ახალი, თანამედროვე საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის მიზნობრიობით.
აღნიშნული საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N21 14.07.2022წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც ფუნქციური ზონის ცვლილებას მიეცა დადებითი შეფასება.
ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.16.06.050.008, N01.16.06.050.004 და მიმდებარე ტერიტორია) საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ითა (სსსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება,.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნ. ჩხეიძის ქუჩა N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.16.06.050.016; N01.16.06.050.008, N01.16.06.050.004) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 5-ისა (სზ-5) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1), საზოგადოებრივ-საქმმიანი ზონა 2-ითა (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;
ზ) ქალაქ თბილისში, უშაკოვის ქუჩის მიმდბარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.09.006.027) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.
საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.17.09.006.027) ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით

დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ).
„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), მცირედ ნაწილზე საცხოვრებელი ზონა (სზ) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2022 წლის 15 ივლისის N01221963028 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).
წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, უშაკოვის ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.09.006.027) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;
თ) ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N21ბ -ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.09.006.005) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.
საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.17.09.006.005) ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ).
„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 15 ივლისის N01221963039 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).
მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ჩრდილო-აღმოსავლეთით N01.17.09.006.022 და N01.17.09.006.020 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება

საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთით N01.17.09.006.022 და N01.17.09.006.020 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) მოხსნა.

წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N21ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.09.006.005) და მიმდებარედ არსებული N01.17.09.006.022 და N01.17.09.006.020 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

ი) ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N21ბ-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.09.006.025) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.17.09.006.025) ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), მცირედ ნაწილზე საცხოვრებელი ზონა (სზ) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 15 ივლისის N01221963018 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N21ბ-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.09.006.025) და

მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ბ) პროექტის მიღებასთან დაკავშირებული საფინანსო- ეკონომიკური გაანგარიშება:
დადგენილების ამოქმედებისთვის საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):
დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) პროექტის ავტორი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ

მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ



ადგილმდებარეობა



დაინტერესებული პირი: გიორგი ქობელაშვილი

დამკვეთის ინფორმაცია: გურამი იკაშვილი

მესაკუთრე: გურამი იკაშვილი

მისამართი: ქალაქი თბილისი, ეგრისის ქუჩა N 31თ

საკადასტრო კოდი: N01.72.14.008.431, 01.72.14.008.328, 01.72.14.008.329 და მიმდებარე ტერიტორია

http://maps.tbilisi.gov.ge/#/C=44.7835433-41.8129972@Z=22

განცხადების ნომერი : N01221891190-67

ფუნქციური ზონირება 2014-2018



არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2), საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1), სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1), სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2), სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)-ით

ცვლილების საერთო ფართობი: 326 კვ.მ.

ზონირების ბალანსი

არსებული ზონირება	მოთხოვნილი ზონირება
საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1) (**21**კვ.მ)	**საცხოვრებელი ზონა-1** (სზ-1) (**26**კვ.მ)
სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2) (**93**კვ.მ)	**სარეკრეაციო ზონა-2** (რზ-2) (**186**კვ.მ)
სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1) (**212**კვ.მ)	**სატრანსპორტო ზონა-1** (ტზ-1) (**114**კვ.მ)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: 2022 წლის 1 ივლისის N01221922101 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია: 2022 წლის 19 ივლისის N01222003317 წერილის შესაბამისად, შესაძლებლად მიაჩია ფუნქციური ზონის ცვლილება.

გამწვანების თემატური რუკა

არსებული ზონირება

მოთხოვნილი ზონირება



ადგილმდებარეობა

დაინტერესებული პირი: თინა წიქარიშვილი

დამკვეთის ინფორმაცია: თინა წიქარიშვილი

მისამართი: ქალაქი თბილისი, გლდანის მასივის ტერიტორია

საკადასტრო კოდი : N72.13.13.397-ის მიმდებარე ტერიტორია

მიზნობრიობა: ტერიტორიის ლეგალიზება

http://maps.tbilisi.gov.ge/#/C=44.8473872-41.7753910@Z=19

განცხადების ნომერი : N 01221791244-67

ფუნქციური ზონირება 2014-2018



არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ცვლილება საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1)-ით
ცვლილების საერთო ფართობი: 179 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1)

ზონირების ბალანსი

არსებული ზონირება	**მოთხოვნილი ზონირება**
ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) (**179**კვ.მ)	**საცხოვრებელი ზონა-1** (სზ-1) (**179**კვ.მ)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: 2022 წლის 6 ივლისის N01221871288 წერილის შესაბამისად, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია : შესაძლებლად მიაჩნია მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება

გამწვანების თემატური რუკა

არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

ადგილმდებარეობა

დაინტერესებული პირი: ნიკოლოზ გოგეშვილი

დამკვეთის ინფორმაცია: პაატა ენუქიძე

მესაკუთრე: ლაშა კილაძე, ოგანეზ კაზარიანი

მისამართი: ქალაქი თბილისი, გზატკეცილი კახეთი N 1; კახეთის გზატკეცილის მარჯვენა მხარეს, ჯავახეთის ქუჩის გადაკვეთაზე

საკადასტრო კოდი : N01.17.10.011.085, 01.17.10.011.020

მიზნობრიობა: სატრანსპორტო მომსახურეობის ობიექტი (ავტოსერვისის) განთავსება

http://maps.tbilisi.gov.ge/#/C=44.8690299-41.6836352@Z=18

განცხადების ნომერი : N01221105-67, N012218710-67

ფუნქციური ზონირება 2014-2018



არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)-ის ცვლილება სატრანსპორტო ზონა-2 (ტზ-2)-ით
ცვლილების საერთო ფართობი: 300 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2 (სსზ-2)

ზონირების ბალანსი

არსებული ზონირება	მოთხოვნილი ზონირება
სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1) (**300**კვ.მ)	**სატრანსპორტო ზონა-2** (ტზ-2) (**300**კვ.მ)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: არ საჭიროებს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია : 2022 წლის 6 ივლისის N0122187304 წერილის შესაბამისად შესაძლებლად მიაჩნია.

გამწვანების თემატური რუკა

არსებული ზონირება

მოთხოვნილი ზონირება

გამწვანების თემატური რუკა

ადგილმდებარეობა

- დაინტერესებული პირი: სსიპ ქონების მართვის სააგენტო
- დამკვეთის ინფორმაცია: სსიპ ქონების მართვის სააგენტო
- მესაკუთრე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი
- მისამართი: ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი
- საკადასტრო კოდი : N01.72.14.055.053 და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორია
- http://maps.tbilisi.gov.ge/#/C=44.7674078-41.7595892@Z=21
- მიზნობრიობა: პრივატიზება
- განცხადების ნომერი : N01221791133-67

ფუნქციური ზონირება 2014-2018

არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება

მოთხოვნის ტექსტი: გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2) მოხსნა.
ცვლილების საერთო ფართობი: 224 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2)

ზონირების ბალანსი

არსებული ზონირება	მოთხოვნილი ზონირება
სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2) (**224**კვ.მ)	**საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-3** (სსზ-3) (**224**კვ.მ)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: 2022 წლის 6 ივლიისს N18-01221871247 წერილის შესაბამისად, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია : შესაძლებლად მიაჩნია მოთხოვნილი სახით ზონის ცვლილება.

ფუნქციური ზონირების რუკა

არსებული ზონირებისა და გამწვანების ფენა

არსებული ფუნქციური ზონა რჩება უცვლელი

ადგილმდებარეობა



- დაინტერესებული პირი: სსიპ ქონების მართვის სააგენტო
- დამკვეთის ინფორმაცია: სსიპ ქონების მართვის სააგენტო
- მესაკუთრე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი
- მისამართი: ქალაქი თბილისი, ლუბლიანას ქუჩა N 15-ის მიმდებარედ
- საკადასტრო კოდი : N01.13.02.005.022 და მიმდებარე არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორია
- მიზნობრიობა: პრივატიზება
- http://maps.tbilisi.gov.ge/#/C=44.7760220-41.7760358@Z=20
- განცხადების ნომერი : N01221872183-67

ფუნქციური ზონირება 2014-2018



არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება

მოთხოვნის ტექსტი: გამწვანებული ტერიტორიების რუკით ურბანული გამწვანების (შიდა კვარტლური) მოხსნა.
ცვლილების საერთო ფართობი: 1543 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა-1 (ს-1)

ზონირების ბალანსი

არსებული ზონირება	მოთხოვნილი ზონირება
ურბანული გამწვანება (შიდა კვარტლური) (**1543**კვ.მ)	**სამრეწველო ზონა-1** (ს-1) (**1543**კვ.მ)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: 2022 წლის 8 ივლისის N01221892309 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია : შესაძლებლად მიაჩნია მოთხოვნილი სახით ზონის ცვლილება.

ფუნქციური ზონირების რუკა

არსებული ზონირებისა და გამწვანების ფენა

არსებული ფუნქციური ზონა რჩება უცვლელი



ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

ადგილმდებარეობა

- დაინტერესებული პირი: სსიპ ქონების მართვის სააგენტო
- დამკვეთის ინფორმაცია: სსიპ ქონების მართვის სააგენტო
- მესაკუთრე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი
- მისამართი: ქალაქი თბილისი, ნინო ჩხეიძის ქუჩა N13
- საკადასტრო კოდი : N01.16.06.050.016, 01.16.06.050.008, 01.16.06.050.004 და მიმდებარე არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილი
- მიზნობრიობა: საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა
- http://maps.tbilisi.gov.ge/#/C=44.8083716-41.7016178@Z=21
- განცხადების ნომერი : N01221791646-67

ფუნქციური ზონირება 2014-2018

არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: საცხოვრებელი ზონა-5 (სზ-5), სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)-ის ცვლილება სპეციალური ზონა-1 (სპეცზ-1), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2 (სსზ-2), სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)-ით.
ცვლილების საერთო ფართობი: 777 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1), საცხოვრებელი ზონა-5 (სზ-5)

ზონირების ბალანსი

არსებული ზონირება	მოთხოვნილი ზონირება
საცხოვრებელი ზონა-5 (სზ-5) (**765** კვ.მ)	**სპეციალური ზონა-1** (სპეცზ-1) (**720**კვ.მ)
სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1) (**12**კვ.მ)	**საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2** (სსზ-2) (**49**კვ.მ)
	სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1) (**8**კვ.მ)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: არ საჭიროებს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია : შესაძლებლად მიაჩნია მოთხოვნილი სახით ზონის ცვლილება

ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

ადგილმდებარეობა

- დაინტერესებული პირი: რუსუდან ბერიძე
- დამკვეთის ინფორმაცია: რუსუდან ბერიძე
- მესაკუთრე: რუსუდან ბერიძე
- მისამართი: ქალაქი თბილისი, უშაკოვის ქუჩის მიმდებარედ
- საკადასტრო კოდი : N01.17.09.006.027-ის ნაწილი
- მიზნობრიობა: ძველი გენ.გეგმის ზონირების დაბრუნება
- http://maps.tbilisi.gov.ge/#/C=44.8083716-41.7016178@Z=21
- განცხადების ნომერი : N01221863034-67

ფუნქციური ზონირება 2014-2018



არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება

მოთხოვნის ტექსტი: სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2)-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონით (სზ)
ცვლილების საერთო ფართობი: 351 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით საცხოვრებელი ზონა (სზ)

ზონირების ბალანსი

არსებული ზონირება	მოთხოვნილი ზონირება
სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2) (**351**კვ.მ)	**საცხოვრებელი ზონა** (სზ) (**351**კვ.მ)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: 2022 წლის 15 ივლისის N01221963028 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია : შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება.

გამწვანების თემატური რუკა

არსებული ზონირება

მოთხოვნილი ზონირება



ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

ადგილმდებარეობა

- დაინტერესებული პირი: რუსუდან ბერიძე
- მესაკუთრე: რუსუდან ბერიძე
- მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა შალვა მშველიძე N 21ბ
- საკადასტრო კოდი : N 01.17.09.006.005, N01.17.09.006.022 -ის ნაწილი, N01.17.09.006.020 -ის ნაწილი
- მიზნობრიობა: ძველი გენ.გეგმის ზონირების დაბრუნება
- http://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=212369&lrId=10880#/C=44.8464186-41.6989768@Z=21
- განცხადების ნომერი : N 01221862934-67

ფუნქციური ზონირება 2014-2018



არსებული ზონირება

მოთხოვნილი ზონირება

მოთხოვნის ტექსტი: სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2)-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონით (სზ)
ცვლილების საერთო ფართობი: 881 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით საცხოვრებელი ზონა (სზ)

ზონირების ბალანსი

არსებული ზონირება	მოთხოვნილი ზონირება
სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2) (**881**კვ.მ)	**საცხოვრებელი ზონა** (სზ) (**881**კვ.მ)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: თანხმობა (2022 წლის 15 ივლისის N01221963039 წერილი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია : შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

გამწვანების თემატური რუკა

არსებული ზონირება

მოთხოვნილი ზონირება

ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

ადგილმდებარეობა

დაინტერესებული პირი: გიორგი ბარათაშვილი

მესაკუთრე: გიორგი ბარათაშვილი

მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა შალვა მშველიძე N 21ბ-ს მიმდებარედ

საკადასტრო კოდი : N01.17.09.006.025 და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორია

მიზნობრიობა: ძველი გენ-გეგის ზონირების დაბრუნება

http://maps.tbilisi.gov.ge/#/C=44.8463442-41.6984627@Z=18

განცხადების ნომერი : N 01221861844-67

ფუნქციური ზონირება 2014-2018



არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2)-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონით (სზ)
ცვლილების საერთო ფართობი: 569 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით საცხოვრებელი ზონა (სზ)

ზონირების ბალანსი

არსებული ზონირება	მოთხოვნილი ზონირება
სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2) (**569**კვ.მ)	**საცხოვრებელი ზონა** (სზ) (**569**კვ.მ)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: 2022 წლის 15 ივლისის N01221963018 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია : შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება.

გამწვანების თემატური რუკა

არსებული ზონირება

მოთხოვნილი ზონირება